სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

ზ.გამსახურდიას სანაპირო N1, 0114
თბილისი, საქართველო
1 Z.Gamsakhurdia Named Right Bank, 0114 Tbilisi, Georgia;
+995 032 225 33 02/99

269-04-2-202608251459

N 04-269
25/08/2026

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით კარგარეთელს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის XI-H (XI-H, XI-B და XI-L გაერთიანება) სალიცენზიო ბლოკზე (ტერიტორიულად მოიცავს დუშეთის, თიანეთის, საგარეჯოსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს) სახელმწიფოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებისა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის საფუძველზე ნავთობის და გაზის ოპერაციებს ახორციელებს „Georgia Oil & Gas Limited"-ის ფილიალი საქართველოში, რომლის დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრი" ამზადებს XIH, XIB და XIL სახელშეკრულებო ფართობებთან დაკავშირებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების გაერთიანებასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გიგზავნით „Georgia Oil & Gas Limited"-ის საქართველოს ფილიალის მიერ წარმოდგენილ IX-H, XI-B და XI-L სახელშეკრულებო ფართობებთან დაკავშირებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების გაერთიანებასთან დაკავშირებულ გზშ-ის ანგარიშსა და განცხადებას, რომელიც საზოგადოების ინფორმირების მიზნით უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (მოთხოვნის შემთხვევაში - უზრუნველყოფილი იქნას მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდება 2026 წლის 2 ოქტომბერს 14 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში. გთხოვთ, უზრუნველყოთ გარდაბნის მუნიციპალიტეტში აღნიშნული საკითხით დაინტერესებული საზოგადოების დასწრება საჯარო განხილვაზე.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი